



## EEU- ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

ეს დოკუმენტი წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის სისტემის დანერგვის და განვითარების ძირითად ინსტრუმენტს და შექმნილია იმისათვის, რომ EEU-მ დააკმაყოფილოს სტუდენტების, ასევე სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნები და გაამართლოს მათი მოლოდინები, რათა შეძლოს მდგრადი წარმატების მიღწევა!

დამტკიცებულია: რექტორის

ბრძანება 08/01-08, 07.02.2019

განხორციელდა ცვლილება:

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

#05, 25.08.2020

# შინაარსი



1. შესავალი

2. ხარისხის კულტურა EEU- ში

3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანი და ძირითადი ასპექტები

4. ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები

5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

6. ხარისხის დოკუმენტაცია

7. რეფერირება





# შესავალი

**EEU მდგრადი წარმატების მიღწევაზე** ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციაა, სადაც ხარისხი ნიშნავს მიზანშეწონილი ქმედებებისა და პროცესების სწორად დაგეგმვას და განხორციელებას **საუკეთესო შედეგის მისაღწევად!**

**EEU - ს** გააზრებული აქვს, რომ უნივერსიტეტის წარმატებაზე მოქმედი ფაქტორები მუდმივად ჩნდება, ვითარდება, იზრდება ან იკლებს და ამ ცვლილებების კვალ და კვალ უნივერსიტეტი ფოკუსირებულია დააკმაყოფილოს სტუდენტებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებები და მოლოდინები, ამ კონტექსტში უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის გააზრებული სისტემის არსებობა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.

გამომდინარე აქედან წინამდებარე დოკუმენტი ეხება ინსტიტუციის საგანმანათლებლო საქმიანობის სისტემურ გაუმჯობესებას. იგი მოიცავს ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის დაგეგმვის, განხორციელების, ანალიზის, შეფასებისა და გაუმჯობესების ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს.

წინამდებარე დოკუმენტში დეკლარირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი ასპექტები, პრინციპები და მექანიზმები, რომელთა ერთობლივი გამოყენებით უნივერსიტეტმა რთულ, მომთხოვნი და მუდმივად ცვალებად გარემოში, უნდა **უზრუნველყოს მდგრადი წარმატების მიღწევა!**

ეს დოკუმენტი შექმნილია უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის, უნივერსიტეტში არსებული ხარისხის სისტემის იმპლემენტაციის შედეგების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ეროვნული და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციითა და სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით.

**EEU- ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა**





## ხარისხის კულტურა EEU- ში

**EEU -ს** ხარისხის კულტურა არის საუნივერსიტეტო საზოგადოების ატმოსფერო, რომელიც მხარს უჭერს მაღალი ხარისხის პროცესების წარმართვას მდგრადი წარმატების მისაღწევად.

**EEU -ს** მდგრადი წარმატების მიღწევის შესაძლებლობას აძლიერებს ხარისხის კულტურის დანერგვა და გავრცელება ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ დონეზე. საზოგადოების ყველა წევრი მონაწილეობს პროცესში, რომელშიც ქმნის ყველანაირ წინაპირობას მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლებისა და კვლევისთვის.

**ხარისხის კულტურა გამოიხატება** პერსონალისა და სტუდენტების მაღალ პასუხისმგებლობაში მათი მუშაობისა და სწავლისადმი. პერსონალი და სტუდენტები საქმიანობენ და თანამშრომლობენ უნივერსიტეტის ღირებულებებისა და მიზნების შესაბამისად და იცავენ ხარისხის საერთო პოლიტიკას. ისინი ასევე იზიარებენ კარგ პრაქტიკას, მონაწილეობენ უწყვეტი შეფასების პროცესში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ ინსტიტუციის განვითარების კონტექსტის ფორმირებაში, ზრუნავენ მათი მონაწილეობით წარმოებული პროცესების გაუმჯობესებაზე და მიისწრაფიან სიახლეებისადმი.

**EEU - ში** ხარისხის კულტურის არსებობა დასტურდება, როდესაც საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს პასუხები კითხვებზე: რა მიზნები აქვს უნივერსიტეტს დასახული მდგრადი წარმატების მისაღწევად? მიღწეულია თუ არა დასახული მიზნები? რა შესაძლებლობები არსებობს საჭიროების შემთხვევაში გამოსწორდეს უნივერსიტეტის კურსი?

**EEU- ში** ხარისხის კულტურის არსებობა მნიშვნელოვნად ზრდის საზოგადოების ნდობას უნივერსიტეტისა და მისი საქმიანობის მიმართ.





## ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანი

**EEU-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს ინტეგრირებულ მართვის სისტემას, რომელიც ეხმარება ინსტიტუციას საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის შენარჩუნებაში და განვითარებაში. ეს არის პრინციპების, პროცესების, მეთოდებისა და პროცედურების კრებული, რომლებიც გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობის საუკეთესო შედეგების მიღწევაში.


**EEU-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახმარებით, პროცესების აღწერით და გაზომვით, უზრუნველყოფილია მუდმივად და სისტემურად ხდებოდეს ხარისხის შეფასება და შედეგებზე დაფუძნებით შესაბამისი რეაგირება.

**EEU-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანია დაეხმაროს საუნივერსიტეტო საზოგადოებას და მის წევრებს ხარისხის მართვის ჩარჩოს შემუშავებაში; ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევას და დაწეროს ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტები უნივერსიტეტში, რისთვისაც EEU ახდენს: ხარისხის სტანდარტების განსაზღვრას; ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

**EEU-ს** ხარისხის სისტემა ეფუძნება შესაბამის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ასევე კარგ მენეჯმენტს და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღებას.

პასუხისმგებლობა ხარისხის სისტემისთვის შეესაბამება უნივერსიტეტის მენეჯმენტისთვის განსაზღვრულ პასუხისმგებლობას: ფაკულტეტის დეკანები პასუხისმგებელი არიან თავიანთი ფაკულტეტის ხარისხის სისტემაზე, ხოლო დეპარტამენტების/ცენტრების/სამსახურების ხელმძღვანელები საკუთარი სტრუქტურული ერთეულის. თითოეული მათგანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხარისხის უზრუნველყოფაში.





## ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი ასპექტები

**EEU-ს მიერ მხარადაჭერილია** კომპეტენციების შეძენა და განვითარება სწავლა-სწავლებითა და კვლევით.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, მათ შორის თავად სისტემის გაუმჯობესებაზე მიმართული მექანიზმების გამოყენება, ორიენტირებულია სტუდენტების, პერსონალის თუ სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილებაზე და უზრუნველყოფს, რომ შეთავაზებული მომსახურება შეესაბამებოდეს მათ მოთხოვნებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება გარე მარეგულირებელ ჩარჩოს - საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტებს, Quality Assurance Agency-ის სტანდარტებს, Standards and guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), სტანდარტს ISO 21001:2018 საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემები (EOMS). უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს; ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების საპასუხოდ და მათი კმაყოფილების მისაღწევად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შეფასებასა და განვითარებას ყველა მიმართულებით - საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლა-სწავლება, სერვისები, რესურსები, ინტერნაციონალიზაცია, კვლევა, მართვა, საზოგადოების განვითარებაში შეტანილი კონტრიბუცია, საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირება.

**EEU-ში** დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ემსახურება ინსტიტუციის მდგრადი წარმატების მიღწევას.

**EEU- ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა**





# ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის იმპლემენტაციის უფლებამოსილება


**EEU** ორიენტირებულია იმუშაოს მაღალხარისხიანი გზით, დრო და რესურსი იყოს მიმართული საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრის ძირითადი მოვალეობების, კერძოდ, სწავლა-სწავლებისა და კვლევის მიმართულებით.

**EEU-ს** საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრი იზიარებს პასუხისმგებლობას ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის იმპლემენტაციისთვის. ამისათვის ისინი მაქსიმალურად ავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს და ზედმიწევნით ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს: ზედამხედველობის, ხელმძღვანელობისა თუ შემსრულებლის მანდატით. აქვთ უკუკავშირი გამოკითხვებსა და განვითარების დისკუსიებში მონაწილეობით.

**EEU-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ინსტიტუციის მმართველ რგოლს წარმოადგენს, ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში ხარისხის მენეჯმენტსა და შეფასებას. სამსახურის მოვალეობებში შედის უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარება და კონსოლიდაცია მის ერთეულებთან ერთად, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის პრინციპების, მეთოდების შემუშავება სწავლებისა და კვლევის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტში ხარისხის სტანდარტების დადგენა, შეფასება და ზოგადად ხარისხის მართვის სისტემის სრული კოორდინაცია.

**EEU - ში** ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის იმპლემენტაციისათვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უწყვეტად და სისტემურად გამოყენების პროცესების ადმინისტრირება ხდება **PDCA** ციკლის გამოყენებით.





**ACT**

- პროექტების განვითარება/შემუშავება;
- კარგი პრაქტიკის გაზიარება;
- პერსონალის უნარების განვითარება;
- სწავლის უნარების განვითარება;
- მართვის სტილის განვითარება

**CHECK**

- მონიტორინგი და უკუკავშირი;
- წლიური ანგარიშგება და სტატისტიკა;
- შიდა აუდიტი;
- თვითშეფასება;
- გარე შეფასება და აუდიტი

**PLAN**

- იმპლემენტაციის გეგმები;
- კვლევითი პროექტების დაგეგმვა
- კურიკულუმის და სასწავლო პროგრამების დაგეგმვა/შექმნა
- ინდივიდუალური სწავლის დაგეგმვა;
- სოციალური ჩართულობის დაგეგმვა

**DO**

- კვლევა
- სწავლება, შეფასება, ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა;
- სწავლის დასრულება;
- საზოგადოებრივი ჩართულობა;
- მხარდაჭერი სერვისები

**LEADERSHIP**



↪ EEU- ში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები სრულად დაფუძნებულია PDCA ციკლზე, რომელითაც უზრუნველყოფილია ინსტიტუციაში პროცესების დაგეგმვა ურთიერთქმედების პრინციპის დაცვით.



↪ PDCA ციკლის მიდგომის გამოყენებით პროცესების დაგეგმვისას ხდება საჭირო რესურსების გათვალისწინება, დგინდება პროცესის ადმინისტრირების პროცედურა, ასევე ხდება განსაზღვრა იმ შესაძლებლობების, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების გაუმჯობესებას საუკეთესო შედეგის მისაღწევად.

↪ EEU- ში PDCA ციკლი გამოიყენება, როგორც ინსტიტუცის მართვის სისტემურ დონეზე, ასევე უნივერსიტეტში განსახორციელებული ნებისმიერი პროცესისა და ქმედებების სამართავად.






EEU- ს უწყვეტ განავითარებაზე დაფუძნებული მართვის სისტემა  
მდგრადი წარმატების მისაღწევად



EEU- ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა





## EEU- ში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პრინციპები

- |  |  |   |  |
|--|--|---|--|
| <p><b>1</b> სტუდენტებზე ფოკუსირება</p>          | <p><b>2</b> ხედვითი/მომავალზე ორიენტირებული მმართველობა</p>   | <p><b>3</b> მაღალი ჩართულობა</p>                  | <p><b>4</b> პროცესზე დაფუძნებული მიდგომები</p>  |
| <p><b>5</b> მუდმივი გაუმჯობესება</p>            | <p><b>6</b> მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები</p>  | <p><b>7</b> ურთიერთობების მენეჯმენტი</p>          | <p><b>8</b> სოციალური პასუხისმგებლობა</p>       |
| <p><b>9</b> ხელმისაწვდომობა და თანასწორობა</p>  | <p><b>10</b> ეთიკური ქცევა აკადემიურ სივრცეში</p>             | <p><b>11</b> მონაცემთა უსაფრთხოება და დაცვა</p>  |  |





**EEU- ში ხარისხის მართვის სისტემა იზიარებს სტანდარტის ISO 21001:2018 საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემები (EOMS) პრინციპებს**

**დასახელებული პრინციპები მორგებულია ინსტიტუციის კონტექსტს სტრუქტურირებული და ეფექტური მეთოდოლოგიის დაცვით, მათი იმპლემენტაციას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადაპტირებული მიდგომით.**

1. **ფოკუსირება სტუდენტზე და სხვა ბენეფიციარებზე** - უნივერსიტეტი ისწარფვის, რათა სტუდენტისა და სხვა ბენეფიციარის მოთხოვნებს ადეკვატურად უპასუხოს. ეს მიღწევა მაშინ თუ დასტურდება რომ მათი მოთხოვნა ემთხვევა უნივერსიტეტის შეთავაზებულ მომსახურებასა და სერვისებს, ხოლო მათი მოლოდინები გამართლებულია.
2. **ხედვითი/მომავალზე ორიენტირებული მმართველობა** - EEU-სთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და მიზნების განსაზღვრაში და განხორციელების პროცესში ჩართული იყოს უნივერსიტეტის სტუდენტები და სხვა ბენეფიციარები და მათი ჩართულობა დაეფუძნოს ინსტიტუციის კურსის განსაზღვრისას მდგრადი პროგრესის მიღწევის კონტექსტს.
3. **მაღალი ჩართულობა** - EEU-ში მხარდაჭერილია თანამონაწილეობითი პროცესები, სადაც მნიშვნელოვანია დადასტურდეს, რომ ყველა პირი, რომელიც იღებს პროცესებში მონაწილეობას არის კომპეტენტური, უფლებამოსილი და იზიარებს საერთო ღირებულებებს.
4. **პროცესზე დაფუძნებული მიდგომები** - უნივერსიტეტს გაზრებული აქვს რომ თანმიმდევრული და პროგნოზირებადი შედეგები მიიღწევა უფრო ეფექტურად და ეფექტიანად, როდესაც საქმიანობა გაგებულია როგორც ურთიერთდაკავშირებული პროცესები და იმართება როგორც თანმიმდევრული სისტემა.
5. **მუდმივი გამუჯობსება** - EEU-ში ყურადღება გამახვილებულია გაუმჯობესებაზე, პროგრესის დამადასტურებელი მტკიცებულების შექმნაზე, რათა მიღწეულ იქნას მდგრადი წარმატება.
6. **მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები** - EEU-ში გადაწყვეტილებები დაფუძნებულია ანალიზზე, ინფორმაციის და მონაცემების შეფასების შედეგებზე.
7. **ურთიერთობების მენეჯმენტი** - მდგრადი წარმატების მისაღწევად, EEU განსაკუთრებულად ზრუნავს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობების ეფექტიანობაზე. რადგან მხოლოდ მათთან თანმიმდევრული ურთიერთობით ხედავს უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას, საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებულ პოზიციონირებას.
8. **სოციალური პასუხისმგებლობა** - EEU-ს აქვს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა და უზრუნველყოფის მის იმპლემენტაციას.
9. **ხელმისაწვდომობა და თანასწორობა** - EEU არის ინკლუზიური, მოქნილი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ინსტიტუცია, რომელიც ახდენს იდივიდუალური და სპეციალური საჭიროების, ინტერესების გათვალისწინებას, ამსთანავე ქმნის ახალ შესაძლებლობებს ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და თანასწორობის მხარდასაჭერად.
10. **ეთიკური ქცევა აკადემიურ სივრცეში** - ეთიკური ქცევა არის EEU-ს შესაძლებლობა შექმნას ეთიკური პროფესიული გარემო: სადაც ყველა დაინტერესებული მხარე იმუშავებს სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების ფარგლებში, თავიდან არის აცილებული ინტერესთა კონფლიქტი და თითოეული წევრის საქმიანობა დაფუძნებულია უნივერსიტეტისათვის სარგებლიანობის კონტექსტს.
11. **მონცემთა უსაფრთხოება და დაცვა** - EEU აღიარებს ეროვნულ და საერთაშორისო რეგულაციებს მონაცემთა უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად და ქმნის გარემოს, სადაც ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია თანამშრომლობა სრული დარწმუნებით, რომ მათ შეუძლიათ საკუთარი მონაცემების გამოყენების კონტროლი, ხოლო EEU განიხილავს მათ მონაცემებს სათანადო სიფრთხილით და კონფიდენციალურობის დაცვით.





## ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

**EEU-ს** ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ორიენტირებულია მუდმივ გაუმჯობესებაზე, რომელიც მიიღწევა უნივერსიტეტში დადგენილი სტანდარტების თანმიმდევრული რეალიზებით, ინსტიტუციაში მიმდინარე ყველა პროცესის სტანდარტებთან თავსებადობის შეფასებითა და შეფასების შედეგებზე დაფუძნებით ყოველგვარი შუსაბამობების აღმოფხვრითა და შედეგების მუდმივად გაუმჯობესებით.

**EEU** ხარისხის უზრუნველსაყოფად განსაზღვრავს მექანიზმებს, რომლის გამოყენებითაც ადგენს: **დაცულია** თუ არა დადგენილი სტანდარტები და მიღწეულია თუ არა საუკეთესო შედეგი.

**EEU - ში** ხარისხი უზრუნველყოფის მექანიზმები შიდა და გარე შეფასების მექანიზმების სახით არის წარმოდგენილი.

**EEU - ში** შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ფარავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა საკვანძო მიმართულებასა და პროცესს და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება;
2. სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასება;
3. სერვისების შეფასება;
4. მატერიალური, საბიბლიოთეკო, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების შეფასება;
5. პერსონალის ( კადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული) შეფასება;
6. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შეფასება;
7. კვლევითი საქმიანობის შეფასება;
8. ინსტიტუციურ დონეზე მიღწეული და საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირების შედეგების შეფასება.

**ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებია:**

1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ შეფასების შედეგები;
2. ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ უნივერსიტეტის ინსტიტუციური ან/და პროგრამების გარე განმავითარებელი შეფასების შედეგები;
3. საერთაშორისო ინსტიტუციური ან/და პროგრამული აკრედიტაციის შედეგები;
4. ფინანსური აუდიტის შედეგები.

**EEU-ში** ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენება ხდება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტებითა და დადგენილი პროცედურებით, რომელიც დაფუძნებულია PDCA მუდმივი შეფასებისა და გაუმჯობესების ციკლზე.






ფაზები

ინსტრუმენტები

პროცედურები

საჭირო ქმედებები



EEU- ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა





## ხარისხის დოკუმენტაცია

EEU- ში დადგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები ინტეგრირებულია უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ რეგულაციებში, რომელიც ერთიანდება შიდა მარეგულირებელ ჩარჩოში და მოიცავს: დებულებებს; წესებს, ინსტრუქციებს, პოლიტიკის დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმებს, პროცედურებს, სახელმძღვანელოებს, გზამკვლევებს და თითოეული მათგანი წარმოადგენს ხარისხის სისტემის განუყოფელ ნაწილს.

- ✎ EEU-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების იმპლემენტაციისათვის შემუშავებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი გამოყენების პროცედურა“
- EEU-ში შემუშავებულია :
  - ✓ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“;
  - ✓ „პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სახელმძღვანელო“;
  - ✓ „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და რეაკრედიტაციის პროცედურა“;
  - ✓ „უკუკავშირის პროცედურა“
  - ✓ „საგანმანათლებლო პროგრამების შიდა თვითშეფასების ფორმა და პროცედურა“;
  - ✓ „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი“
  - ✓ „წლიური ანგარიშების ფორმები და პროცედურა“.

## რეფერირება

წინამდებარე დოკუმენტზე მუშაობისას შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა. დოკუმენტის შექმნისას გაზიარებულია უმეტეს წილად ბრიტანული უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მოდელი, ასევე ჰელსინკის უნივერსიტეტის მოდელი. დოკუმენტის ძირითადი პრინციპები დაფუძნებულია Quality Assurance Agency-ის სტანდარტებს, Standards and guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), სტანდარტს ISO 21001:2018 საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემები (EOMS).

გაანალიზებული და გაზიარებული მოდელები და მიდგომები დოკუმენტში ასახულია კონტექსტუალიზებული, ადაპტირებული მიდგომით EEU- ს ორგანიზაციული კულტურისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

